

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(34) 2012 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

### სოფალი კაკაბეთი



გვერდი 3-4-6

### პირველი უსვულრა

### დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტის გაგეოგრაფიაში



16 ოქტომბერს საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირზე ამავე გამგეობის სამსახურის უფროსებსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეოს მუნიციპალიტეტიდან **თინათინ ხიფაშვილი** მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელმა **შალვა ჯაბაღარმა** წარუდგინა. ქნმა თინათინ ხიფაშვილმა მუნიციპალიტეტის თითოეული ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისგან დაწერილ დოკუმენტით გამოიკითხა ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ჩაინიშნა ის პრობლემები, რომლებიც საერთოა ყველა სოფლისათვის და მის მოგვარებას საკმაო ძალისხმევა დასჭირდება. პარლამენტის წევრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოფლების მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლით, ელექტროენერგიით მომარაგების მდგომარეობაზე, განიხილა ამ სფეროში არსებული ხარვეზების შემდგომში გამოსწორების გზები და საშუალებები. დიდი ინტერესი გამოიჩინა სოფლების გაზიფიცირებისა და ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის დაწესებული ღირებულების

განსხვავებული ტარიფების არსებობაზე. ამ შეხვედრაზე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, რომ სასმელი წყლის შიდა ქსელები და ელექტროენერგიის გადამცემა ხაზები, გადამცემა ხაზების საყრდენი ბოძები კვლავაც პრობლემურია ჩვენს საუკუნეში.

**როგორც პარლამენტის წევრმა ქნმა თინათინ ხიფაშვილმა** აღნიშნა, საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის პირველი სხდომის შემდეგ იგი აქტიურად გააგრძელებს შეხვედრებს მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან, კვლავაც მოისმენს მათ პრობლემებს და ყველანაირად ეცდება მათგან დაყენებული საკითხების მოგვარებას, შეეცდება შეასრულოს ის დანაპირები, რაც მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასახა და უპირველეს ყოვლისა, თანაპარტიელებთან, თანაგუნდელებთან ერთად იბრძოდეს და ძალისხმევას გამოიჩენს იმ მიზნის შესასრულებლად, რომელიც ემსახურება საკუთარი სახელმწიფოს მიმართ თითოეული მოქალაქისათვის ნდობის დაბრუნებას და თავადაც საქართველოს პარლამენტში გაამართლებს ამომრჩეველთა არჩევანს – იქნება საკუთარი მანდატის ღირსების მატარებელი და მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პირი.

### ჩვენი საღატაკეები



გვერდი 7

### სარეაბილიტაციო მასწავლებლისგან



გვერდი 4

### გვასახელეს სორი მოქალაქეები



გვერდი 8

### ფანოქანაური ნოქი



გვერდი 8

### ორი „იგელის“ სოლისტი



გვერდი 5

# სოფალი

## ანგეოტი, ნარსულითა და მოგავლით

გარეკახეთის სოფლებს შორის კაკაბეთს თავისი შესანიშნავი სიტყვა ეთქმოდნო. ძველად და თანამედროვე პერიოდშიც. ეს სოფელი თავისი ისტორიით, თავისი თანამედროვე ეკონომიკით, კულტურით ღირსეულ ადგილს იკავებს როგორც კახეთის, ისე მთელი საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

თუ თვალს გადავავლებთ მის ისტორიულ წარსულს, ამ ძირძველ და საინტერესო სოფელს არაერთხელ შეხვდებით ავად მტრის მსახურადი ხელი, არაერთხელ აღუვიდა მიწის პირისაგან ჩვენი ქვეყნის „სისხლის წვიმების“ დროს, მაგრამ იგი არ მოსპობილა, ნახანძრად დადარში მინავლული ნაკვეთისხალივით კვლავ გაღვივებული და ნაფუძარზე ახალი სიცოცხლე წარმოშობილა. ჩვენ არ ვიცით მტრების მიერ იავარქმნილ ნასოფლარზე როდის აღმოცენდა ახალი სოფელი კაკაბეთი, ან რისთვის ეწოდა ამ ულამაზეს სოფელს ასევე ულამაზესი ფრინველის სახელი კაკაბეთი. მაგრამ თვით ამ ტოპონიმის სემანტიკა გვკარნახობს, რომ სოფლის სახელწოდება ულამაზესი ველური ფრინველის – კაკაბიდან უნდა იყოს ნაწარმოები. თვით ბუნება – ვრცელი და ნაყოფიერი ველ-მინდვრები, ატეხილი ჭალა-ტყეები, მუდამ ამ ულამაზესი, ყელ-ყარყარა ფრინველის საუფლო. მიწაც ბარაქიანი და მითიურ ედემად ქცეული, რაც იმის პირობას ქმნიდა, რომ აქ ადამიანებს ბედნიერად უნდა ეცხოვრათ. არ ვიცით, რატომ გამოიჩინა ჩვენს დიდ მეისტორიულ ვახუშტი ბაგრატიონს თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში სოფელი კაკაბეთი...

დიდმა მეისტორიულმა კი არ გამოტოვა კაკაბეთი და მისი მეზობელი ყანდაურა, როცა იწერებოდა ეს დიდი ისტორიული ნაწარმოები, ისე იყო იავარქმნილი და მიწასთან გასწორებული გარეკახეთის ეს ნაყოფიერი მიწა-წყალი ირანის სისხლისმსმელი მბრძანებლის შაჰ-აბასის მიერ XVII საუკუნის I ნახევარში, რომ მხოლოდ ნასოფლარებს წარმოადგენდნენ მდინარე იორის ორივე სანაპიროები.


როცა გარეკახეთის ეს ნაყოფიერი მიწა-წყალი მონახულა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა 1771 წელს, კაკაბეთი და ყანდაურა მხოლოდ უკაცრიელ ნასოფლარს წარმოადგენდა.

კაკაბეთის ხელმეორედ დასახლება უნდა დაწვედეს XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში.

კაკაბეთის ხელმეორედ დასახლება მოხდა ძირითადად ქართლიდან გადმოსახლებული მოახალშენეების და მთაყარაბაღიდან და ერევნის სახანოდან გადმოსახლებული ეთნიკური სომხებისგან, რომლებიც სწრაფად იქნენ ასიმილირებული ქართული მოსახლეობის მიერ.

მეტად საინტერესო ისტორია აქვთ ქართლიდან, კასპის რაიონის სოფელ კავთისხევიდან გადმოსახლებულ ქართველებს, რომელთაც კავთისხევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ხსოვნის უკვდავსაყოფად კაკაბეთის ძველ ნასოფლარზე აუშენებიათ „კავთის ეკლესია“, სადაც ყოველ აპრილსა და ნოემბერში აღინიშნება ხოლმე დიდი დღესასწაული „კავთობა“.

ქართლიდან გადმოსახლებულმა ახალშენეებმა კაკაბეთში ჩამოიტანეს მდიდარი ძველქართული ტრადიციები და მყარად დანერგეს ისინი. ჩვენ ამ პატარა ნარკვევში შევეცდებით გადმოვცეთ თუ რა კეთილნაყოფიერი ტრადიციები შემონახული ამ სოფელში ხალხური თეატრალური სანახაობებისა თუ მუსიკალური ფოლკლორის დარგში, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. სოფელ კაკაბეთს ლეგენდასავით შემორჩა წინა საუკუნის კაკაბეთის მოღვაწეების სახელები, რომელთა შორის თვალსაჩინო როლი მიუძღვის XX საუკუნის მოღვაწეს იოსებ მჭედლიშვილს (1888-1950წწ).



## კაკაბეთი მხიარ ისტორია

იოსებ მჭედლიშვილი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ჩუმი, უარტყნხიო წარმომადგენელი იყო, თუმცა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი იყო – იყო პოეტიც, პროზაიკიც, დრამატურგიც, მთარგმნელიც და ფოლკლორისტიც. მან თავისი ხანმოკლე ცხოვრებით (იგი 62 წლის ასაკში გარდაიცვალა), იმდენი რამ გააკეთა, რაც ყველა შემოქმედს შეშურდებოდა. ჩვენ შევეცდებით მისი შემოქმედების მხოლოდ ერთ, დიდ და სახელოვან დარგს – მუსიკალურ ფოლკლორს შევეხეთ. ესაა საქვეყნოდ ცნობილი მიხა ჯიღაურის მუსიკალური ფოლკლორის გუნდი და მისი პოპულარიზაცია.

XX საუკუნის I ათწლეულში საქართველოში თითქმის მივიწყებული იყო ქართული ხალხური სიმღერები, როგორც თვითონ იოსებ მჭედლიშვილი იგონებს:


„1927 წელს ძველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკოლოზ ერისთავმა თბილისში სალიტერატურო სადამოს გამართვა განიხრახხა... ნ. ერისთავმა მეც მთხოვა ამ საქმეში დახმარება. მე ვურჩიე სადამოს პროგრამაში შეეტანათ ქართული ხალხური სიმღერები კახელ გლეხთა გუნდის შესრულებით“, ეს დავალება იოსებ მჭედლიშვილს პირნათლად შეუსრულებია და ამ წამოწყებით საფუძველი ჩაუყარა ქართული, ხალხური ფოლკლორის აღორძინებისა და სრულყოფისათვის.

იოსებ მჭედლიშვილმა შეძლო კაკაბეთში არსებული მიხა ჯიღაურის ხელმძღვანელობით არსებული სიმღერის გუნდისათვის შევერთებინა კახეთში არსებული მომღერალთა ჯგუფი „დედას ლევანას“ და ალექსი ელოშვილის მომღერალთა ჯგუფი, რის შედეგადაც მიიღო ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი გუნდი.

იოსებ მჭედლიშვილმა დიდი ძალისხმევა მოახმარა კახეთის ხონაში ნამდვილი ქართული, ხალხური პროფესიონალური ფოლკლორული გუნდის ჩამოყალიბებას. იგი სოფლიდან

სოფელში გადადიოდა და პირადად ემუშავებდა ხმებს. ასეთი გზით იოსებ მჭედლიშვილმა მიაკვლია საუკეთესო ხალხური სიმღერების გუნდს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სასულიერო პირი, დავით გარეჯის ითანე ნათლისმცემლის საშმის ფილიალის ბერ-მონაზონი ვიორგი ეპიტაშვილი. კაკაბეთისა და ხაშმის მომღერალთა გუნდების შეერთებით იოსებ მჭედლიშვილმა საუკეთესო გუნდი შექმნა და 1928 წლის 11 თებერვლისათვის თბილისის კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში ჩაატარა დიდი კონცერტი და ეს თარიღი ითვლება კიდევ გარეკახეთში ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის დაფუძნების ისტორიულ თარიღად. ამ კონცერტზე კაკაბეთის გუნდმა მიხა ჯიღაურის ლიტბარობით შეასრულა ისეთი სიმღერები, როგორც იყო: „ურმული“, „ოროკვლა“, „ჩაკრულთ“, „ბერიკაცი ვარ“, „მრავალჟამიერი“, ხოლო ხაშმის გუნდმა „ფშაური“, „ძლიერ სტიროდა“, „მაყრული“, „ძმებო, რა სჯობდა ძმობასა“.

აღნიშნულ კონცერტს დასწრებიან იმდროინდელი საქართველოს გავლენიანი მუსიკათმცოდნეები, რომელთაც რეკომენდაცია მისცეს იოსებ მჭედლიშვილს აღნიშნული გუნდების მონაწილეობით კონცერტები ჩაატარებინათ სკოლებში და შრომით კოლექტივებში, რითაც ხელი შეუწყვეს მოსახლეობაში მუსიკალური ფოლკლორის განვითარების საქმეს.



კაკაბეთი 1928 წლამდე ძველი დარბაზის მიხედვით სიღნაღის მაზრაში შედიოდა, ხოლო ხაშმი თბილისის მაზრაში, რაც ხელს უშლიდა ამ ორი მუსიკალური ფოლკლორული გუნდის თავშეყრის საკითხს, მაგრამ 1929 წლიდან კაკაბეთი ახალშექმნილი საგარეჯოს რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადავიდა, რამაც იოსებ მჭედლიშვილს გაუადვილა მუშაობა გარეკახეთის მუსიკალური ფოლკლორის განვითარების საქმეში. 1929 წლის 6 მაისს თბილისში გაიმართა საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადი, სადაც მონაწილეობა მიიღო იოსებ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით საგარეჯოს ფოლკლორულმა გუნდმა, რომელმაც შეასრულა სამი სიმღერა: „კახური მრავალჟამიერი“, „ბერი კაცი ვარ“ და „მკის სიმღერა“. გუნდს დიდი წარმატება ხვდა. მიხა ჯიღაურს მეორე ხმას ეუბნებოდა ახალგაზრდა კაკაბელი მომღერალი ივანე მჭედლიშვილი, რომლისთვისაც დიდი დებიუტი იყო ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა და როგორც მაშინდელი გაზეთი „კომუნისტი“ წერდა, კომპოზიტორმა კოტე მეღვინეთუხუცესმა კიურის ყურადღება გაამახვილა ამ ახალგაზრდა შემსრულებლის შესახებ... ეს შექება დამწვები მომღერლისათვის დიდი სტიმულის მიძღვემა გახდა და იოსებ მჭედლიშვილის მიერ წამოწყებული დიდი საქმე მომდევნო წლებში ვანო მჭედლიშვილმა განაგრძო, ხოლო გლეხი მომღერალი მიხა ჯიღაურის ხსოვნა ლეგენდად იქცა.

იოსებ მჭედლიშვილი მარტო ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზატორი არ ყოფილა. მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა ქართული ხალხური სამეურნეო ტრადიციების შეკრებისა და მეცნიერების საკუთრებად ქცევის საქმეში. ქართული ისტორიული მეცნიერული პლენადის კორიფეს ივანე ჯავახიშვილს იოსებ მჭედლიშვილის კონსულტაციები გამოყენებული აქვს თავის ორტომიან ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I და II ტომებში.

იოსებ მჭედლიშვილი გარდაიცვალა 1950 წელს. ჩვენ ამ პატარა ნარკვევში მხოლოდ ერთ მომენტს შევეხეთ, კაკაბეთის კი თავისი დიდი ისტორიული მემკვიდრეობიდან ბევრი რამ აქვს გასაზიარებელი.

ალ. ელივრაშვილი

### კაკაბეთი

1883 წელს გაზეთი „დროება“ (№110) წერილში „ს. კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა)“ წერდა:

„... ეს სოფელი ეშმაკისთვისაც კისერ სამტრედიო გზით და ქალაქიდან სიშორით, ხან გონებას დაბუჯითებით ეუბნება, რომ ჯერ აქ მეფე ირაკლის სიკვდილიც კი არ უნდა გაჰგებოდეთო, მაგრამ საუბედუროდ, საკმაოდ იცნობენ ყველა აწინდელ დროის დაუპატიუებელ სტუმრებს: ხროს ყლაპიებისას, მეღუქნეებისას, სალახანა სოფლის მწერლებისას, გაქნილ ნამოხელეებისას – უკანონო გავლენას პრისტავისა და ჩაფრებისას.

სოფელი დიდი არ არის, 307 კომლია, მაგრამ დუქნები კი არსებობენ თავიანთი განუშორებელი არყის ბოთლებით, საპნით, საქალამნებით და ორიოდე სპიჩკის კაროპკებით. და ეს უკანასკნელი იზიდავენ გლეხებს, ისე, როგორც თავის მხეში დამწვარი კაკლის ნივთი: მკათათვეში ეს დუქნები გადაიქცეოდა ხოლმე პურის მაღაზიებად, რომლის კარებზედ განუწყვეტილ კუდავირებს მიჰქონდათ თუ პური, თუ ქერი, შემოდგომაზე კიდევ იგივე ვირები მაგრათ დასაპაღნებულნი მირონივდნენ.

... ყოველ ცისმარე დღეს დუქნის კარმიდამო იყო ბინად ყოველგვარ ამ სოფლის მოხელისა, მწერლისა, მოსამართლისა, მამასახლისისა, ტყის მცველებისა, გზირებისა და სხვა. არ იყო გლეხი, რომ ათი კოდი სულადი არ მიეცა მეღუქნისათვის მკათათვეში.

**P.S კაკაბეთის მს დახასიათება მიტ-ნაპლეაჲლ ბამოაღბეოლა ბარეკახეთის მაშინდელ ყველა სოფელს**

დასასრული მი-3 გვერდზე

# სოფალი

## ანგეოტი, ნარსულითა და მოგავლით

### ბაბრძელება

1533 – კომლი;  
3675 – მაცხოვრებელი;  
სოფლის მთლიანი ფართობი – 6753ჰა;  
**ამჟამად**

სასოფლო-სამეურნეო მიწა – 5463ჰა;  
მათ შორის:  
სახნავი – 2162ჰა;  
სათიბი – 0  
სადოვარი – 2600ჰა;  
მრავალწლიანი ნარგავები – 701ჰა;  
ვენახი – 606ჰა;

**ამჟამად:**  
რქაწითელი – 484ჰა;  
საფერავი – 90ჰა;  
პიბრიდი – 32ჰა.

**მცხოვრებლები:**  
მსხვილფეხა – 755 სული;  
ცხვარი – 5955 სული;  
მოყვარული:  
ფუტკარი – 254 სკა.

### 2012 წლის მოსავალი დასახეობის მიხედვით:

რქაწითელი – 504ტ, 607კგ;  
მწვანე – 13ტ, 960კგ;  
საფერავი – 87ტ, 140კგ.

### სკოლა:

საჯარო – მენეჯერი პაატა ჩხეიძე  
მოსწავლე – 353;  
პედაგოგი – 41;

სკოლის შენობა ათეული წლის წინ კაპიტალურად გაკეთდა, გარემონტდა შიგნიდან და გარედან, მას შემდეგ სკოლის შენობაში რემონტი აღარ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით 2009 წელს სტიქიისაგან დაზიანებული სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

### საბავშვო ბაღი სოფელში ორია:

**№1 საბავშვო ბაღის** მენეჯერია ლეილა ამბარდნიშვილი. საბავშვო ბაღში 2 სააღმზრდელო ჯგუფია – 50 ბავშვით. ბავშვთა კონტიგენტი ყოველწლიურად იზრდება და საჭიროებს ახალი ჯგუფის გახსნას.

საბავშვო ბაღის შენობას ხელის შეშვებება სჭირდება, გასაკეთებელია შიდა რემონტიც.

### №2 საბავშვო ბაღის

მენეჯერია მაყვალა მეურმიშვილი, საბავშვო ბაღში 2 სააღმზრდელო ჯგუფია 30 ბავშვით. შენობა გარემონტებულია.

**ბიბლიოთეკა** – მენეჯერი მარინა მახარობლიშვილი

განთავსებულია 2008 წელს რეაბილიტირებულ ოთახებში. წიგნადი ფონდი 22005 წიგნი.

### კულტურის სახლი

საკლუბო მუშაობის სპეციალისტია ლეილა გიგოშვილი.

ძველი შენობა გამოუყენებელია, რა-

# კაკაბერი დევანდელიძე და მოგავლი

დგან რესტავრირებას, რეაბილიტაციას საჭიროებს, ამიტომ იგი საკრებულოს შენობის ერთ-ერთ ოთახშია განთავსებული


### სოფლის რწმუნებულია დიმიტრი მჭედლიშვილი

**მოკლე ბიოგრაფიული ცნობები:** დაიბადა 1961 წელს, სოფ. კაკაბეთში. აქვე დაამთავრა 1978 წელს კაკაბეთის საშუალო სკოლა. სწავლა საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე განაგრძო. შემდეგ დაამთავრა საგარეჯოს დ. გარეჯელის სახელობის ინსტიტუტი ეკონომიკისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშ-

ცხო ტექნოლოგიების მენეჯერად. ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი.

მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან კი სოფელმა დიმიტრი მჭედლიშვილი სოფლის რწმუნებულის პოსტზე ისურვა.

დიმიტრი მჭედლიშვილის რწმუნებულად დანიშნა იმ ვნებათაღელვას დაემთხვა, როცა სოფელში სტიქიით მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლებისაგან გამოყოფილ დახმარებებს ანაწილებდნენ. კომპენსაცია ვის მეტი შეხვდა, ვის ნაკლები – ამაზე მართლაც მწვავე პოლემიკითა და საკმაო დროით გადიზიანებული სოფლის მოსახლეობა ახლა ახლადდანიშნულ რწმუნებულს მიმართავდა. თუმცა, წინა პერიოდში



სოფლის რწმუნებული დიმიტრი მჭედლიშვილი

### ინფრასტრუქტურა

2008 წელს სოფელში 25300 ლარის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. კონკრეტულად:

1. შეკეთდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა;
2. „საბას წყლის“ ქსელის რეაბილიტაცია;
3. ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია;
4. სოფლის ამულატორიის ეზოს კეთილმოწყობა.

### 2009 წელს ამ 151400 ლარი გაიხარჯა:

1. სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაციისათვის;
2. კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის (ოთხი ოთახი გარემონტდა);
3. საჯარო სკოლის სტიქიით დაზიანებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისათვის.

### 2010 წელს 41000 ლარი:

1. სასოფლო გზის ასფალტის ორმოყული შეკეთება;
2. სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია.

### 2011 წელს – 53700 ლარი:

1. შიდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია;
2. ვენახებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა;
3. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

### 2012 წელს 55200 ლარი:

1. სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია;
2. საგარეულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა;
3. სანიღვრე არხის მოწყობა ცენტრალურ გზაზე.

ახლანდელ პერიოდში ე.წ. „საბას“ წყალს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. შეიცვალა 3 კილომეტრამდე წყალსადენი მილები, შესრულდა მთელი რიგი მიწის სამუშაოები – 1. „ტრანშე“ გაითხარა 150 მეტრ სიგრძეზე. ამ მაგისტრალით სოფლის მოსახლეობა წყალს ციფ-გომბორის ქედის ჩრდილოეთის მხრიდან იღებს. სათავე-ნაგებობიდან წყალშემკრებამდე წყალსადენი მილები პოლიეთილენის მილით შეიცვალა 3 კილომეტრის მანძილზე.

2. გაკეთდა სოფლის საგარეულებამდე მისასვლელი გზა დაახლოებით 5 კმ სიგრძის.

3. ჭალაში, ფშა „მღვრიეზე“ გაკეთდა გადასასვლელი ხიდი, რომელიც სახნავ-სათეს საგარეულებამდე აკავშირებს მოსახლეობას.

### ინფრასტრუქტურის სფეროში პრიორიტეტული საკითხები:


1. საუნბო გზის რეაბილიტაცია;
2. სოფელში მისასვლელი ცენტრალური გზა;
3. სასმელი წყლის გამანაწილებელი წყალსადენები შესაკეთებელია (თუმცა, სათავე-ნაგებობა ჯერ-ჯერობით უკეთეს პირობებშია).
4. კორექტირების შეტანა, შესწორება სჭირდება „ავანის წყლის“ სათავეს.



საბავშვო ბაღში

აობდა საგარეჯოს მელიორაციისა და წყალთა სასისტემო სამმართველოში სატუმბო სადგურების ტექნიკოსად, შემდეგ მუშაობდა ენერგეტიკოსად, ასევე კაკაბეთის საჯარო სკოლაში ნორმ ტექნიკოსთა წრის ხელმძღვანელად, საინფორმა-

ციალურ მუშაობაზე იმ კომისიის გარდა, რომელმაც სტიქიით მიყენებული ზარალი დათვალა და დაზარალებული ოჯახები კატეგორიულად დაჯყო, არაფერ იცის – სტიქიამ ვის რა „კატეგორიით“ მიაყენა ზარალი, არც ის იციან, ან რა პრინციპით გაიცა ზოგიერთი ოჯახის 3 წევრზე ცალკე-ცალკე ფულადი დახმარებები. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა 900 ოჯახზე იყო განაწილებული, რომლებიც სამ კატეგორიად იყო დაყოფილი. პირველ კატეგორიაში 268 კომლი მოხვდა, თითოეულზე 1500-1500 ლარი განაწილდა; მეორე კატეგორიაში – 360 კომლი და თითოეულზე 1000-1000 ლარი განაწილდა, მესამე კატეგორიაში – 272 კომლი, თითოეულზე 500 ლარი განაწილდა, მაგრამ აქედან, 900 კომლიდან შემდგომში კატეგორია 155 კომლს შეეცვალა. მათ კიდევ 140 დაზარალებული კომლი დაემატა. ამასთან, თითოეულ კომლზე გაიცა თითო ტომარა ფქვილი, 5 კგ შაქრის ფხენილი, 2 ბოთლი ზეთი, თუმცა, შემდეგ კი შაქრის ფხენილის ნაცვლად – მაკარონი. პარალელურად შეკეთდა იმ სახლების სახურავები, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზიანდა. დღეისათვის, სოფლის რწმუნებულის – დიმიტრი მჭედლიშვილის განმარტებით, უკვე სახურავი 58 სახლს დაეფარა, რაზედაც გაიხარჯა 1570 ცალი შიფერი. კიდევ გასაკეთებელია 35 სახლის სახურავი, თუმცა, ეს რიცხვი ჯერ კიდევ დაზუსტებული არ არის.



საბავშვო ბაღი

# სიანლა

## დემოკრატიულობის ჩართულობის ცენტრი საგარეჯოში

ცენტრი კახეთის გზატკეცილ-საქართველო გზაჯვარედინის სიახლოვეს, სუპერმარკეტ „ციცინათელას“ გვერდით შენობაშია განთავსებული. ახლანდელი შენობა აქ ასეულობით ადამიანს უწყვეტად და შენობის ფასადზე მოთავსებული წარწერის წაკითხვა, მაგრამ ბევრმა მათგანმა როდი იცის, თუ რას წარმოადგენს ან ემსახურება აღნიშნული ცენტრი. არა და, ამის ცოდნა საჭიროა ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობის, ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და პოლიტიკური პარტიებისათვის, რადგან ეს გახლავთ თავისუფალი სივრცე დემოკრატიზმისა და ყველა იმ მნიშვნელოვან თემებზე დისკუსიების გასამართად, რაც ქვეყნის და მ.შ. საგარეჯოელების წინაშე თანამედროვეობამ დააყენა. აღნიშნული გათვალისწინებით ჩვენ ვეწვიეთ **დემოკრატიული ჩართულობის საგარეჯოს ცენტრის კოორდინატორს ქეთი სიბაშვილს** და ვთხოვეთ პასუხი გავცა იმ კითხვებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით დააკმაყოფილებს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

– დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების პროექტი, – აღნიშნა ჩვენმა რესპოდენტმა, – დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. პროექტის ფარგლებში საქართველოში გაიხსნება 10 დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი. მათ შორის საგარეჯოში, რომელმაც ფუნქციონირება 19 სექტემბერიდან დაიწყო. ეს ცენტრი ხელმისაწვდომია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეებისა და მედიის წარმომადგენლობისათვის, როგორც მუდმივი თავშესაფრისა და შეხვედრების ადგილი დაილოცისა და დისკუსიისათვის, რომელიც შეიძლება გაიმართოს არა მარტო მათ შორის, არამედ ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლებთან.

ტერმინი „დემოკრატიული ჩართულობა“ გულისხმობს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ქმედებას, რომლის მიზანია საზოგადოებისათვის აქტიური თემების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების შესაძლო გზების განხილვა.

– ღონისძიებების ჩასატარებლად ცენტრი

**ტრი ალბათ ყველა სათანადო პირობით იქნება უზრუნველყოფილი?**

– რა თქმა უნდა, საამისოდ აქ ყველა პირობაა შექმნილი დაწყებული მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზით და საინფორმაციო საშუალებებით დამთავრებული. ცენტრს გააჩნია შეხვედრების დარბაზი, სივრცე, რომელიც გამოყოფილია ფართო აუდიტორიისათვის და 70-მდე ადამიანს იტევს და ეთმობა დემოკრატიული ჩართულობის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობას.

ცენტრში გვაქვს საკონფერენციო ოთახიც შედარებით მცირემასშტაბიანი შეხვედრებისათვის. ცენტრის თანამედროვე პირობებში ფუნქციონირების აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული 5 კომპიუტერით და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობით. კომპიუტერები განკუთვნილია საჯარო გამოყენებისათვის სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად, განათლებისა და უნარების გასაუმჯობესებლად და კომუნიკაციის ხელშეწყობად. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს თანამედროვე დონეზე მოწყობილი და აღჭურვილი ბიბლიოთეკა და რესურს-ცენტრი, რომელიც აღჭურვილია გამოცემებით დემოკრატიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

ცენტრში მოქმედებს ცხელი ხაზის ბანერ-ტელეფონის ნომრები და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ცენტრში და რომლის გამოყენებითაც პირი შეიძლება დაკავშირებას დემოკრატიული ჩართულობის პროექტის მენეჯმენტთან.

ცენტრს გააჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა – პრეს-რელიზები, საჯარო განცხადებების და ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციების ერთობლიობა, რომელიც შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისა და სხვა თანამშრომლების მიერ.

**– თქვენ ზემოთ საუბარში ცენტრის ხელმისაწვდომობა ახსენეთ. როგორ და რა პირობებით შეიძლება მისი გამოყენება ამ საქმით დაინტერესებული მხარეებისათვის?**

– დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის სივრცით სარგებლობა შეუძლია

ნებისმიერ განმცხადებელს მათი შეხვედრების, რელიგიის, ეთნიკური, სოციალური, ეკონომიკური, სქესის, რასის, კანის ფერის, დაბადების ადგილის, ქონებრივი მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, ქორწინების სტატუსის მიუხედავად. ცენტრში ორგანიზებული ღონისძიებები არის უფასო, ნებაყოფლობითი და შესაძლებელია ინიცირებული იყოს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისგან, ან თავად ცენტრის მიერ. რაც შეეხება ცენტრში ამა თუ იმ ღონისძიების ჩასატარებლად სივრცის დაჯავშნას, ეს ხდება ცენტრის კოორდინატორთან წინასწარი წერილობითი მიმართვის, ან ელექტრონული მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნა ჯავშანზე დადასტურებულად ითვლება, როდესაც ცენტრის კოორდინატორი განცხადებას დადასტურებს წერილობით და ჩაინიშნავს მას ცენტრის ღონისძიებათა კალენდარში. აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ ჯავშნის მოთხოვნისას პირმა უნდა მიუთითოს ღონისძიების ჩატარების თარიღი, დრო, ხანგრძლივობა, მიზანი და აუდიოვიდეო აღჭურვილობის საჭიროება. შეხვედრებს დარბაზის ღონისძიებებისათვის მოწყობაზე, ავეჯის გადაადგილება და სხვა სამუშაოს შესრულებაზე ვალდებულია ორგანიზატორი.

**– აღნიშნული წესები კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობაზეც ვრცელდება თუ არის განსხვავება?**

– ცენტრი უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას კომპიუტერსა და აუდიოვიზუალურ მოწყობილობაზე, „პირველმა მოგემართა – პირველმა მიიღო პრინციპით“, ოღონდ არის დროის შეზღუდვები. კომპიუტერების გამოყენებაზე ლიმიტი 1 საათია, რომ შემდეგ სხვა მომხმარებელმაც შეიძლოს სარგებლობა.

თუმცა მომხმარებელს შეუძლია არსებული მოწყობილობები გამოიყენოს დამატებით დროსაც თუ ამ დროისათვის სხვა მომხმარებლები არ ელოდებიან აღნიშნული რესურსით სარგებლობას.

**– როგორია თქვენს ხელთ არსებული ბიბლიოთეკითა და რესურს-ცენტრით სარგებლობის წესები?**

– აქ ცენტრი მომხმარებელს სარგებლობისათვის სთავაზობს ბუკვლით მასალებს და გამოცემებს. ნებისმიერი პიროვნება, რომელიც იყენებს ამ რესურსებს, უნდა უფრთხილდებოდეს მათ

და იყენებდეს კანონიერი მიზნებით. არსებული რესურსების გამოყენება შესაძლებელია როგორც ადგილზე, ისე მის გარეთ (ორი დღით გატანით) შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე.

ბიბლიოთეკების და რესურს-ცენტრის მომხმარებელს ხელი მიუწვდებათ სხვა მოწყობილობებზეც (პრინტერი, სკანერი, ასლგადამდები).

**– 19 სექტემბრიდან დღემდე არც თუ ისე დიდი დროა გასული. თუ მოასწრო ამ დროში რომელიმე „მომხმარებელმა“ ცენტრით სარგებლობა?**

– როგორ არა. 25 სექტემბერს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) ჩვენს ცენტრში გამართა საკოორდინაციო შეხვედრა რეგიონული წარმომადგენლებისათვის. 27 სექტემბერს კი საკუთრად დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მიერ ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და პარლამენტის დეპუტატების მაჟორიტარ კანდიდატებთან. იგივე ISFED-მა – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ 28 სექტემბერს ჩაატარა წინასწარწვენი შეხვედრა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დამკვირვებლებთან. 9 ოქტომბერს შევიცარიის პროტესტანტიული ეკლესიის საქველმოქმედო ორგანიზაციის – HEKS-EPER-ის მიერ განხორციელდა პროექტის „მეცხოველობის განვითარება კახეთში“ პრეზენტაცია. 11 ოქტომბერს ჩვენს საკონფერენციო დარბაზში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტის სოფიო მანძულაშვილის ინიციატივითა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი კორპისი“ საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლების მონაწილეობით მოქმედება დაიწყო პროექტმა „კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე კახეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგალითზე“. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არაა და ეს პრაქტიკა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და გამრავალფეროვნდება და ჩვენი, საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კარები მუდამ ღია იქნება მსგავსი ღონისძიებებისა და შეკრებების ჩასატარებლად.

შსაშპრა ბი30 დაბახიშვილი

# თეა მასნავლავის „სარეზონანსო“ იორეზონანსო მონაწილეებს



ონისის I ნახევარში საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ „ვოლდვიენი საქართველოსთან“ ერთად თელავში ქვეყნის ექვსი სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდა პედაგოგებისთვის ჩაატარა სამიტი თემაზე „ახალგაზრდობის სამოქალაქო ჩართულობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა“. პროექტში სხვა პედაგოგებთან

ერთად მონაწილეობდა იორმულანლოს საჯარო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელი **თეა ბურბანიძე**, პროექტის მონაწილეებს აღნიშნულ თემაზე ჩაუტარდა ტრენინგები და პრაქტიკული მეცადინეობები, რის შემდგომაც გამოცხადდა კონკურსი ახალგაზრდების პრობლემებზე მიმართული საუკეთესო პროექტის გამოსავლენად. პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი ფონდი ერთ რეგიონზე მაქსიმუმ 820 აშშ დოლარს შეადგენდა.

კონკურსზე თეა გურგენიძის მიერ წარდგენილი იყო პროექტი „ქართული ენის კაბინეტი იორმულანლოს საჯარო სკოლაში“, რომელიც გამარჯვებულთა შორის დასახელდა და შესაბამისი ჯილდოთი დაჯილდოვდა.

ამ თვის დასაწყისში კი საქართველოს ბავშვთა ფედერაციის წარმომადგენლები იორმულანლოს საჯარო სკოლას ესტუმრნენ და თეა მასწავლებელს აღნიშნული კაბინეტის მოსაწყობად საჭირო აღჭურვილობა : მაგნიტური დაფა, თვალსაჩინოებების სხვადასხვა მასალები, ლეპტოპი და

ყველა საჭირო მასალები გადასცეს. გაიხარეს თეა მასწავლებელმა და იორმულანლოელმა მოსწავლეებმა, რომელთაც ამ პროექტით ქართული ენის კიდევ უფრო უკეთ შესწავლის

შესაძლებლობა მიეცათ. დამატებით, კაბინეტთან მოწყობა კლუბი, რომელიც აქაურ მოსწავლეთა პრობლემების მოგვარებაში იქნება ჩართული.

ბ. ლაბახიშვილი





ბლად. ასაკის მატებასთან ერთად განსაკუთრებული ინტერესით იზრდებოდა მისი ცნობისმოყვარეობა კოსმოსის, ასტრონომიის, ციური სხეულების მოძრაობის, უკიდურესი სამყაროსა და ამოუცნობი მოვლენების მიმართ.

თათია ერთხელ სკოლიდან ექსკურსიაზე წაიყვანეს ყინვისის ტაძარში. გუმბათზე გამოსახული გაბრიელ მთავარანგელოზის მოზაიკის ყურებისას თათია ცუდად გამხდარა, ტანზე რაღაც გამოსახულებები გაუნდა, შუბლზე წმიდა ნინოს ვახის ჯვარი გამოესახა, რომელიც მთელი დღე-ღამის მანძილზე აღარ მოსცილებია. ამ მოვლენამ მთელი თბილისი აახშიანა. გახეთქებაც და ტელევიზიამაც აიტაცეს და სულ მალე თათია ელერდაშიელის ფენომენი მთელი ქართული საზოგადოების სალაპარაკო თემად იქცა. ამ ფენომენ-

პლანეტაზე, სადაც სრულიად ამოუცნობი, ირაციონალურ სამყაროში მოხვდა. ყოველი მხრიდან ისმოდა მომაჯადოებელი მუსიკა. მისი მონათხრობი კი ასეთი იყო: - შეუცნობადმა უცნაურმა არსებებმა - ანგელოზებმა მითხრეს, რომ ის რაც შენ სხეულზე გეხატება, ჩვენ ვაგზავნი ჩვენი პლანეტიდან, როგორც საკონტაქტო ნიშნებს. უნდა ისწავლო მათი წაკითხვა და შენ უკვლავებს ეხიარო. ეს არის პლანეტათა შორის საკონტაქტო ენა და შენ უნდა იყო ჩვენი კონტაქტიორი დედამიწაზე. თუ სურვილი გაქვს, ჩვენთან დაგტოვებ და მოგამზადებთ ამ ენის ცოდნაში. ასევე გაზიარებთ იმ სიბრძნეს, რომლის შესახებაც თქვენს პლანეტაზე არაფერი იციან. მე არ ვიცოდი რა მეპასუხა. ისინი რაღაც უცნაური მუსიკალური ენით მეკონტაქტებოდნენ. როცა მე

## ფენომენალური ნიჭი

**კ**ასული საუბრის 90-იან წლებში საქართველოში დიზანს იყო საუბარი ერთ საბარჯოლო ბობონაზე, რომლის ახსენებაც ფენომენალურმა ნიჭმა ქართველების ბარბა იპონელებიცი კი დაინტერესა. ეს ბობონა თათია ელერდაშიელია, რომელიც 1983 წლის 7 ივლისსაა დაბადებული. მისი ნიჭისა და უნარის შესახებ, რომელიც აშკარაა, მაგრამ მინც დაუწავლებელი, საუბარი პაპაიშის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ბ-ნ ალექსანდრე ელერდაშიელს ვთხრობთ. აი რა გვიამბო მან:

- გოგონა დანარჩენი ბავშვებისაგან გამორჩეული, გულწაფილი, მაგრამ უადრესად ცნობისმოყვარე იყო. პაპას და ბებუას უცნაურ შეკითხვებს გვაძლევდა ციურ სხეულებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელი ბავშვი იყო, არცთუ იშვიათად სხეულზე - გულმკერდსა და მუცლის არეში რაღაც ფიგურების მსგავსი სიწითლეები უჩნდებოდა. ამ დროს ექიმები ჭინჭრის ციების დიაგნოზს უსვამდნენ. ერთხანს ბავშვი მეტად დაძაბული და ნერვიული ხდებოდა, მაგრამ გამონაყარი სხეულზე მალე უქრებოდა და თათიაც წყნარდებოდა. 1993 წელს თათია ოჯახთან ერთად თბილისში გადავიდა საცხოვრე-

ნით დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერებიც და გამოიკვლიეს თათიას სხეულზე გამოსახული გეომეტრიული, იეროგლიფური ნიშნები, ასევე მისი სხეულის ბიოდენები და დაასკვნეს, რომ საქმე ჰქონდათ იშვიათ მოვლენასთან. მაშინ თათია IX კლასის მოსწავლე იყო. მან გაიარა ცნობილი მეცნიერის ხომერიკის სტუდია და მიიღო ენერგოორექტორის დიპლომი, რის შემდეგაც მას უფლება მიეცა სხვადასხვა დაავადების მქონე (გარდა ქირურგიისა) ავადმყოფები მიეღო, მათთვის დიაგნოზი დაესვა და ბიოდენებით ემკურნალა. თათიას ფენომენმა ავადმყოფებს შორის დიდი აღიერება ჰპოვა. მის მიერ დიაგნოზდასმული და ნამკურნალევი ავადმყოფები მადლიერებით იხსენიებენ მკურნალის ფენომენს.

ყველას უკვირდა, რა იყო ეს - უფლის წყალობა თუ არამიწიერი ცივილიზაციის გამოძახილი? ერთხელ თათია ცუდად შეიქმნა, თითქმის აღარ სუნთქავდა, მშობლებმა სასწრაფო დახმარებაც კი გამოიძახეს. თათიას სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა, მაგრამ მალე გონს მოეგო, შემოფოთებული წამოხტა და აღტაცებულმა საოცარი ამბების მოყოლა დაიწყო. თურმე თათია უხილავმა და უცნაურმა არსებებმა წაიყვანეს უცხო

ადგილი და ჩემს მშობლებთან დაბრუნება მოვიტოვე, მათ დედამიწაზე დამაბრუნეს, თუმცა პირობა დამადებინეს, რომ ჩვენი საუბრის შინაარსი საიდუმლოდ დარჩებოდა და მათი კონტაქტიორი ვიქნებოდი...

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. თათიას აღარ უმოგზაურია უცხო პლანეტაზე, მაგრამ უცხოპლანეტელები არ იფიქრებენ თათიას და ხშირად ეკონტაქტებიან მას. მათი სიგნალები თათიას სხეულზე სხვადასხვა უცნაური ნიშნებით აისახება. ხან პიქტოგრამები, ხან გეომეტრიული სხეულები, ხან იეროგლიფები, ხან იბერიულ-კავკასიური დამწერლობის ნიშნები, ხან ჯვრები და სხვა სტიკები.

თათია 16 წლის ასაკში გაათხოვა და ვაჟიშვილიც შეეძინა.

თათიას ფენომენით მალე ვატიკანიც დაინტერესდა და რომის პაპის მიწვევით მოითხოვდნენ მის რომში ჩასვლას. ბოლოს კი იაპონიის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლები პირადად ჩამოვიდნენ თბილისში და თათია დაითანხმეს იაპონიაში გამგზავრებაზე. 18 წლის გოგონა იაპონიაში 2 კვირა დარჩა. მასზე ორგვარი დაკვირვება მიმდინარებდა. თათიას სხეულს აკვირდებოდნენ იაპონური უფოლოგები, ექიმები და სხვადასხვა დარგის მეცნიერები. განსაკუთრებულ

## აშკარა, მაგრამ დაუხილავი...

ინტერესს იჩენდნენ იაპონელი ენათმეცნიერები თათიას სხეულზე გამოსახული იეროგლიფების მიმართ. იაპონელმა ლინგვისტებმა შეძლეს კიდევ ორი იეროგლიფის გაშიფრვა-ამოკითხვა. ერთ-ერთი იეროგლიფი ასე იკითხებოდა: „მე ვარ სიცოცხლის ხე, ხოლო მეორე - „დედამიწაზე სიცოცხლე მარად იარსებებს“.

იაპონელმა მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს თათიას სასწაულებრივ ფენომენს და იგი სხვადასხვა ეპითეტებით შეამკეს, მას უწოდეს „ცოცხალი ბუდა“ და „ცოცხალი კლეოპატრა“.

თათიას შესთავაზეს იაპონიაში დარჩენა, თანაც პირობას აძლევდნენ მას ყველა პირობას შეუქმნიდნენ სწავლისა და ცხოვრებისათვის. ასევე პირდებოდნენ ბუდისტურ-ლამაისტური ცენტრის ტიბეტის ქალაქ ლჰასას დასათვარილებლად მოგზაურობას, რადგან ლამაისტური ცენტრი დიდ ინტერესს იჩენდა თათიას ფენომენის მიმართ. იაპონიაში თათიას უთხრეს, რომ ისინი 500 წელია ეძებდნენ „ცოცხალ ბუდას“ და მისი სახით იპოვეს კიდევ ასეთი ადამიანი. თათიამ უარი განაცხადა იქ დარჩენაზე და საქართველოში დაბრუნდა.

თათია დაბრუნებისთანავე შეუდგა პაციენტების მიღებას, მათი დიაგნოზის დასმას და მკურნალობას. პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2006 წელს წითელ დიპლომზე დაასრულა.

ამჟამად თათია საგარეჯოში ცხოვრობს, ზრდის II წლის საბავს, არსად მუშაობს და იმ ნიჭითა და უნარით, შესაძლებლობებით, რომელიც მას გააჩნია, შეუძლია დასვას დიაგნოზი და განკურნოს ადამიანები ისეთი დაავადებისაგან, როგორცაა: ჩიყვი, ნევროზი, მაღალი წნევა, შაქრიანი დიაბეტი, შაკიკი, ღვიძლის სხვადასხვა დაავადებები და სხვა. მისი მადლიერი პაციენტები დღესაც არ წყვეტენ კონტაქტს თათიასთან, რომელიც მზად არის თავისი ნიჭითა და უნარით მოემსახუროს თავის თანამემამულეებს.

ჩაიწერა თინა ილაშრაძე

## მოგავლიდან

როცა საგარეჯოს კულტურის სახელთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის „იმედის“ და მანავის საჯარო სკოლის ამავე სახელწოდების მოცეკვავეთა ანსამბლის წარმატებულ სოლისტზე გიორგი ჭეშურაშვილზე წერილის დაწერა დავაპირე, უცებ გამახსენდა ამ 9-10 წლის წინ მანავის საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ზემი. ამ ღონისძიებაზე ყველას ყურადღებას იპყრობდა კინტოს სრულ „ატრიბუტიკაში“ გამოწეობილი ცეროდენა ბიჭი, რომელმაც ისე იცეკვა და მოაწონა თავი ზემის მონაწილე

მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რომ ცეკვა რამდენჯერმე გაამეორებინეს. მაშინ გიორგიმ სხვა პირველკლასელებთან ერთად პირველად შეაღო სკოლის კარი... იმ დღიდან მოყოლებული ის და ცეკვა ხელიხელჩაიკიდებულნი, ფეხდაფეხ მიუყვებიან სწავლა-განათლების გზა-სავალს, ერთად იზრდებიან, ერთად გადადიან კლასიდან კლასში, იმკიან წარმატებებს.

როგორც ახლა გიორგის დედა იხსენებს, გიორგი 5 წლისაც არ ყოფილა, როცა მანავში გახსნილ ცეკვის შემსწავლელ წრეზე მიუყვანიათ, მაგრამ სათანადო პირობების უქონლობის გამო, მალე


საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „იმედში“ გადმოუყვანიათ - ქართული ხალხური ცეკვების აღიარებულ ოსტატებთან თინათინ მეზურიშვილთან და გია კუჭუაშვილთან. სწორედ ამ ამაგდარი ადამიანების დამსახურებაა ის აღიარება და წარმატებები, რასაც გიორგიმ ხელოვნების ამ დარგში მიღწია.

- ქართული ცეკვები სასწაულებრივად უყვარს, როცა ცეკვავს, ვამჩნევ, რომ შინაგანადაც და გარეგნულადაც განიცდის მას, იერ-სახე ეცვლება, რადგან ირად შთაგონებული ხდება, ცეკვა თითქოს მისი

## ორი „იმედის“ სოლისტი

შინაგანი „მე“-დან მომდინარეობს. იმ წუთებში მისთვის ცეკვის გარდა აღარაფერი არსებობს, - ასე ახასიათებს შვილის ცეკვით გატაცებას ქალბატონი ხათუნა.

- დიდ სცენაზე გიორგი პირველად 8 წლის ასაკში დადგა, - ამბობს ანსამბლ „იმედის“ სამხატვრო ხელმძღვანელი თინათინ მეზურიშვილი, - იმ წელს ჩვენი ანსამბლი მიწვეული იყო თურქეთში, ქალაქ ბაიბურთის დედე ქორქეთის სახელობის ფოლკლორულ ფესტივალზე. ამ ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება ბაიბურთში, იწვევენ სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორულ ანსამბლებს, საქართველოდან კი ეს პატივი ჩვენს ანსამბლს ხვდა წილად და იმდენად დაამახსოვრეს ჩვენმა მოცეკვავეებმა იქაურებს თავი, რომ აგერ უკვე ზედიზედ მეხუთე წელი გვიწვევენ ამ ფესტივალში მონაწილეობისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფესტივალზე ერთსა და იმავე



ანსამბლებს მეორედ არ იწვევენ. ამ ფესტივალზე გიორგი მაშინ ჩვენი ანსამბლის ყველაზე პატარა შემსრულებელი იყო, მაგრამ შეძლო იქაური საკმაოდ გემოვნებიანი მაყურებლის მოხიბლვა და აპლოდისმენტების დამსახურება. იმ დღიდან გიორგი ჩვენი ანსამბლის წარმატებული სოლისტია.

ამჟამად გიორგი მანავის საჯარო სკოლის IX კლასის წარჩინებული მოსწავლეა. სწავლაში წარმატებების გარდა ცეკვაშიც მიღწეული წარმატებებით თავს იწონებენ მისი მშობლები და მეგობრები. ამასწინათ გიორგიმ კიდევ ერთი დიპლომი მიიღო - სადღესასწაულო ზემებში აქტიური და უანგარო მონაწილეობისათვის.

წარმატებები ვუსურვოთ პატარა მოცეკვავეს.

ბობო ლაბახიშვილი



# სოფალი

## ანგელოზი, ნარსულითა და მომავლით

დასასრული

5. შესაცვლელია სადრენაჟე და სამელორაციო სისტემები;

6. საქონლის გადასარეკ ტრასაზე (ცენტრალური ავტომაგისტრალის გასწვრივ) დასაყენებელია გამაფრთხილებელი ფირნიშები – დაახლოებით 3 ადგილზე.

### სოფლის მუშაობა

მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს სტიქიისგან (სეტყვა, თანდართული ქარი) დაზიანებული ვაზი, ხეხილი, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს ყველა ის ოპერაცია, რაც საჭიროა მომავალ წლებში მისგან მოსავლის მისაღებად, თუმცა, მიმდინარე შემოდგომას აქაურებმა დახეტყვილი ვენახებიდან 605 ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდეს მანაიის, ბადიაურისა და ნინოწმინდის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს.

# კაკაბერი დღევანდელი და მომავალი

### სოფლის მუშაობაში

#### პრობლემატური საკითხები:

1. მინერალური სასუქები 2. ტრაქტორის საწვავი, 3. მარაგ-ნაწილები.

მართალია, სოფელს საქართველოს პრეზიდენტის ნაჩუქარი ორი ტრაქტორი ჰყავს, მაგრამ ხენა-თესვისათვის ტრაქტორები არ ჰყოფნის, ხენა-თესვის, მოსავლის აღების კამპანია კი წლის ერთსა და იმავე დროს ხდება. სოფელში კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ მათ ბალანსზე არსებული ტრაქტორები შეისყიდეს თავად მექანიზატორებმა, მაგრამ წლების განმავლობაში მათ უკვე ცვთა, ამორ-

ტიზაცია განიცადეს, ამიტომ მწყობრიდან გამოვიდა თითქმის ყველა.

### ისტორიული კვლევები

1. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია „კავთა“.
2. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია;
3. სამების ეკლესია;
4. ღვთისმშობლის ეკლესია (დღეს მოქმედი);
5. ახლადშენებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (გაიხსნა 2012 წლის სექტემბერში).

### სიასლე – საინფორმაციო ტექნოლოგიები

სოფელში შემოტანილია სამი კომპიუტერი – მოსახლეობის კომპიუტერული სისტემის გაცნობა-შესწავლისათვის.

### სამედიო აგზულატორიაში



### ბიბლიოთეკაში



საგაზეთო მასალის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ისტორიკოსს ბნ **ალექსანდრე ელბრაშვილს**, კაკაბეთის რწმუნებულს **დიმიტრი მჭედლიშვილს**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის მთავარ სპეციალისტებს **ბია ბუჩაშვილსა** და **ბექა ფიქრიაშვილს**, საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკის მენეჯერს ქნ **ვერიკო კერატიშვილს**.

## გარდაცვლილი პოეტები

### ბოლქვი ბოლქვიშვილი ალსაკუა

სული ბოლქვით გაიგუდა,  
სითბოს ვაფრქვევ,  
თვითონ მცივა,  
ათ ძმაცაში – 8 იუდა,  
„მწიფეს ვესერი,  
მკვახე ცვივა“.  
სადაც წაველ კაცი ვიყავ,  
ყველგან მიფასებდნენ ამაგს,  
აქ სიფლიდე, მაცილი და  
მხოლოდ ერთმანეთის ჭამა.  
ყველგან ავახილე თვალი,  
აქ დამეფსო შავი ფარდით,  
აქ ჩემია მიწაც, წყალიც,  
აქ მოვკვდები სევდით, დარდით.  
ამ ტყეებს და კლდეებს, მინდვრებს,  
სამოთხეს და ედემს ვადრი,  
სხვა პაერი ვერ შევირგე,  
ვერ მოვიგე უცხო მადლი;  
ათ ძმაცაში – 8 იუდა,  
სითბოს ვაფრქვევ,  
თვითონ მცივა,  
სული  
ბოლქვით  
გაიგუდა,  
„მწიფეს ვესერი,  
მკვახე ცვივა“.

### ხუთჯერ დავიბადე

ხუთჯერ დავიბადე,  
ხუთ შვილში მოვედი,  
მეამა სიცოცხლე,  
და  
გავხდი პოეტი;  
ჩემი კუთვნილი ჭის  
ღერძი, ოწინარი  
არცა მომდერალი,  
არცა მოტირალი;  
რჯულით ქრისტიანი,  
გურჯი – ეროვნებით,  
მცოდნე გამძლეობის  
დიდი ხელმწიფის;  
ჩემი სამწყსოსათვის  
მწყემსიც და სარქალიც,  
ღმერთთან და სინდისთან  
ყოველთვის მართალი.  
მაშორე განგებავ  
დარდები, ჭირები,  
და ყველას მაგიერ  
მე შეგეწირები.  
მეამა სიცოცხლე  
და გავხდი პოეტი,  
ხუთჯერ დავიბადე,  
ხუთ  
შვილში  
მოვედი

### თვა ბუბანიძე

#### ნუ შემეყვარებ თავს

ნუ შემეყვარებ თავს  
გზებს ნუ ამირეგ ოღონდ.  
ისეც ოცნება მკლავს  
ფიქრებაწვილ გოგოს  
ნუ შემეყვარებ თავს.  
ნუ, ტებლის ნუ მეტყვი სიტყვას.  
შენი ნათქვამის მწამს.  
შენი უთქმელი მიყვარს.  
ნუ შემეყვარებ თავს,  
რადაც უცნაურ გრძნობით.  
ისეც ოცნებით მთვრალს  
ვეგრძნობ, რომ ეშმაკი მჯობნის.

### ივრის მინდვრებზე

მინდვრები ყაყაოს  
აუფეთქებია სისხლისფრად.  
სდუმან მთა-გორები.  
სისხლისფერ სიწითლეში  
დიდი სიამაყით დავდივარ,  
რიდით მაგონდებით  
აღვის ხეები  
კელაპტრად უნთია  
თქვენს სსოვნას წმინდას და  
თქვენებრი აღსასრული  
გახდომია სანატრელი,  
ვინც თქვენებრ იწამა.

\*\*\*

ჩემი გრძნობა ახლა, ისე გზასამცდარი,  
ისე უსაშველოდ შეშლილია,  
ახლა უშენობის კი არა და,  
უკვე შენთან ყოფნის მეშინია.

### მიტიან მისხიშვილი

#### სსოვრება ანგელოზი

ცხოვრებას ყოველთვის ვერ უგებ აზრს  
იყავ ისეთი – როგორც ხარ:  
არ ენდო არავის,  
ვისიც არ გწამს  
გონება გკარნახობს,  
ცხოვრების არსს.  
იფიქრე შენით:  
ჭკუით და გონებით,  
ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი...  
სინათლის სხივს ყოველთვის იპოვი,  
ვინც ექებს მას,  
მუდამ იპოვის.  
გქონდეს იმედი, გქონდეს მომავლის,  
გიყვარდეს ღმერთი,  
არ გათქვა ოცნება, – სურვილი შენი,  
ბოლოს კი იტყვი:  
ოჰ, რა კარგი ხარ, ცხოვრებაე ჩემო,  
გამდლობთ უფალო, –  
მადალო ღმერთო!

მართლმადიდებლობა

შუპატრონობა – კრძალ-  
ვით და სიყვარულით

მს ჩვენი — ჩემი, შენი სალოცავია

ქალაქ საგარეჯოს ჩრდილო-დასავლეთით ე.წ. „ფანოზიანთ გორა“ საგარეჯოს ქვემო უბნების მცხოვრებთა ძვალოშესაღავია. აქ საფლავები XVIII საუკუნიდან ჩნდება. მანამდე კი, გვარების: დრეიძეების, დარბაისლებისა და გრატიაშვილების საცხოვრებელი ადგილები იყო მის კალთებზე შემფარებული. შემდეგ კი ნელ-ნელა იწყეს დრეიძეებმა, დარბაისლებმა და გრატიაშვილებმა სხვა გვარებთან ერთად ქვემო უბნებში დასახლება, მათ ადგილას კი დასახლდნენ ქართლიდან გადმოსახლებული გვარები.

სალოცავი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა, მეწვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეშია აშენებული, რომელიც არაერთხელ იქნა ურჯულლოთაგან დანგრეული, მაგრამ მოსახლეობის მიერ ისევ აშენებული. დღეს სალოცავის ტიპის ეს შენობა, XVII-XVIII საუკუნეებში დრეიძეების, დარბაისლებისა და გრატიაშვილების სალოცავს წარმოადგენდა. სალოცავი დათვით გარეჯში მოღვაწე პირმა ლუკა

დრეიძემ ააგო და იქ მღვდელმსახურებას ადასრულებდა. როგორც ისტორიკოსი ბ-ნი ალექსანდრე ელერდაშვილი ამბობს, ლუკა დრეიძეს თავი უსახელებია ლეკების რაზმის მოგერიებაში, დაუხოცავს ისინი. ერეკლეს ლუკასთვის გვარი დრეიძე გვართით დარბაისელი შეუცვლია და საგარეჯოში დღეს ე.წ. „ფანოზიანთ გორის“ და მისი მიმდებარე ტერიტორიები უბოძებია. ლუკას ხუთი შვილი ჰყოლია, სწორედ მათი განშტოებები ყოფილა შემდეგ დარბაისლების გვარი, რომლებიც საგარეჯოში სახლობენ. ამავე გვარიდან ყოფილა ბუტულაშვილები და ბილანიშვილებიც წარმომდგარი.

60-70-იან წლებში სალოცავში ორი გვარის – დარბაისლებისა და გრატიაშვილების წარმომადგენელი ქალები შემოდგომაზე ეახლებოდნენ სალოცავს, იქვე შესწირავდნენ ქათმის დედლებს, იქვე გაშლიდნენ სუფრას, მადლობას და მფარველობას სთხოვდნენ დედა ღვთისას. ხშირად გვინახავს მის კედლებზე



უშილო ქალების მიერ შეიღობის თხოვნით შეწირული პაწია წინდები, პაწია, მინიატურული პერანგები, ბიჭისა და გოგოს შიბაქები, პაწია აკვნები. სალოცავის კედლები ბევრ ხეწინა-ვედრებას იხმენდა და დედა ღვთისმშობელიც გაწილებულს არავის სტოვებდა...

დროთა განმავლობაში, წვიმისგან, უსახურავობისგან ჩამოიღია კედლები, მაგრამ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სალოცავს სახურავი მორწმუნე ადამიანებმა გადახურეს. შემდეგ კი, ამ რამდენიმე წლის წინ შიდა კედლები გაღეს, კარები შეაბეს და შიგ ხატები დააბრძანეს. თუმცა მისი გარშემო ტერიტორია დაუცველი და მსხვილფეხა საქონლის თავშეყრის ადგილიც იყო. ამ რამდენიმე თვის წინ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის კელესიის (მოძღვარი მღვდელი გიორგი პავლოვი) მრევლმა (მათ არაერთ სალოცავს საკუთარი სახსრებითა და ფიზიკური შრომით უპატრონეს) სალოცავს მესერი შემოაღეს ე.წ. „ხარისების“ საშუალებით, კოპწია კარებიც შეაბეს თავისი გადახურვით და ასე დაიკვს სალოცავის ტერიტორია საქონლისგან. ისინი გიორგიწმინდის კელესიის ეკლესიის ეზოში სურათის გადაღება ვთხოვე სამივეს გახეთისათვის – სამივე სხვადასხვა მიმართულებით მიიმაღა – ჩვენ რასაც ვაკეთებთ, გულით და სულით, ღმერთის სიყვარულით ვაკეთებთ და არა სათქმელად და სატრაბახოდ. თუმცა, გეტყვით მათ სახელებს: გიორგი, ნიკოლოზი, ღვთისო...

მხოლოდ ერთი კითხვა ჩნდება – ნუთუ აღარ ახსოვთ გვარებს, რომელთა საგვარეულო სალოცავიც აღნიშნული სალოცავია, ნუთუ ერთხელ მაინც არ გახსენიათ სურვილი რაღაცით უპატრონონ?! თუმცა სალოცავისა და თითოეული ჩვენთაგანის პატრონიც თავად უფალი და დედა ღვთისაა. ჩვენ მხოლოდ მოკრძალება და მადლიერების გამოჩენა გვმართებს მათ წინაშე.

**სურათებზე:** აი, ასე გამოიყურება დღეს ღვთისმშობლის სალოცავი და მისი ტერიტორია.



საგაფლო ორის ვეზირანის  
იოსებ (კოლია) გიორგის  
მე პირსხულაგას  
განსვენება



თერთმეტი წელია რაც აღარ ხარ. ძნელი ყოფილა უშენობა. ვინც ხალხის გულში ცოცხლობს, მკვდრად არ ჩაითვლება – მეც ამ სიტყვებით ვიიმედებ გულს. ამბობენ, ხსოვნა სიკვდილზე ძლიერიაო. ღმერთმა ნათელი არ მოგაკლოს, გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ცაბა სასუფეველი.

შენი შვილი –  
ნათიელა პირსხულაგა

მართალთა შინა ნიაღვი

ელისო კოსტაშვილის მონატრება




მიიღია მწუხარებით აღსავსე 1 წელი შენი წასვლიდან ელისო, და ჩვენ მაინც ერთად ვართ, ჩემო ძვირფასო და განუმეორებელი. მართლაც, რომ ძნელია უშენობა ჩემო ერთადერთო დაო. წახვედი და დამიტოვე დიდი ტკივილი და დარდი, შენი დაოკებული მონატრება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან იქნება. რომ არავინ ელოდა, ისე სწრაფად და მოულოდნელად დატოვა შენმა სულმა ეს წუთისოფელი და ზეცაში გადასახ-

ლდა. მოიწყინა შენმა სახლმა, ეზომ, ბაღმა, შენთვის დაიკეტა სამუდამოდ. გვენატრები და გვაკლიხარ, ელისო, მეც და ჩემს შვილებსაც, რძალსაც და შვილიშვილსაც. ილოცე მათთვის, შენ ხომ სულ მათთვის ფიქრობდი. სიცოცხლეში შენი ცხოვრებისეული წესით, შენი პატიოსნებით, ყველაზე მზრუნველობით უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე. წახვედი და ცრემლის ზღვა გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. მჯერა, რომ შენ არასოდეს დაგივიწყებს შენი სათაყვანებელი გვარი, რომელიც ძალიან გიყვარდა, ყველას პატივს სცემდი და ამაცობდი მათით. მარადიულ სასუფეველში ჩვენი გვარის უამრავი კარგი ადამიანია შენთან ერთად. ილოცეთ კოსტაშვილების გამრავლებისა და საქართველოს კეთილდღეობისათვის. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული.

და – ანბალინა კოსტაშვილი,  
ღისშვილები

ხსოვნა

მიშა ბიქორაშვილი



უკვე 40 დღე გავიდა, მამა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. საყვარელი მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ დარდსა და ვარამს ვენახში მუშაობა გიმსუბუქებდა. აკი დიდი ვენახიც გააშენე, რომელსაც „პაპას ვენახი“ ჰქვია. შრომაში დაღლილს, დარდიანს ავადმყოფობა მოგერია, მალე წახვედი ამქვეყნიდან და დამიტოვე ნატკენი გული.

უკვე სიმარშიც გნახე, მამა, ისევ ისეთი მზრუნველი ხარ ჩემს მიმართ, როგორც სიცოცხლეში მყავდი. კეთილად მდილი სიხმრად, მამა, კარგი გაიმეტე ისევ ჩემი ოჯახისათვის, ყველასათვის, ვინც შენ გაგისხენებს და კეთილად მოგიგონებს.

ნათელში მყავდი მამა, მსუბუქი ყოფილყოს შენს კეთილ გულზე დაქრული მიწა.  
შენი შვილი ეთერო

# საგარეჯოს საჭადრაკო სკოლა კვლავ იჩინებს ნორჩ მოჭადრაკეთა ტრიუმფი — ბახეთსა და იმერეთში

სპორტული

ქართული საჭადრაკო სკოლის, ასევე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის საჭადრაკო სკოლების წარმატებები — მსოფლიოშია ცნობილი. ამ სკოლების აღზრდილები არიან მსოფლიოს, ევროპის ოლიმპიადების ჩემპიონები, პრიზიორები — ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრიძე, ნანა იოსელიანი, ბელა ხოტენაშვილი, ლალი ჯავახიშვილი, ზურაბ ახმაიფარაშვილი, ვია და თამაზ გიორგაძეები და სხვა, რომლებიც სამართლიანად ამყობენ საქართველოს ჭადრაკის მოყვარულებს.

საგარეჯოს საჭადრაკო სკოლა თავის პირველ ნაბიჯებს დგამს და შეიძლება ითქვას წარმატებითაც. ნანი უნაფქოშვილის საჭადრაკო წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძის სამშობლოში იყო საქართველოს ჩემპიონი 16 და 20 წლის ასაკის გოგონებში, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების მრავალჯერ მონაწილე — ეს ნანის წარმატებების მანიშნებელია. ნანი უნაფქოშვილის (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) წარმატებებმა მრავალი საგარეჯოელი ბიჭი და გოგონა დააინტერესა გონებრივი თამაშის „მეფის“ — ჭადრაკის საიდუმლოებების შესწავლაში.

ნიკა კველიშვილი, ლუკა გურჯიძე, ეთუნა ხებრელაშვილი, ლალი გარსიაშვილი, ლევან დალბაშვილი, ნინო გოდერძიშვილი და სხვა — ეს სახელები რამდენიმე წელია გამორჩეულად საქართველოს საჭადრაკო ოჯახში.

ნიკამ, ლუკამ, ეთუნამ, ლალიმ, ლევანმა უკვე მოასწრეს კახეთის ჩემპიონობა, გაიმარჯვეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს მრავალ რეგიონალურ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო მასშტაბის პირველობებში, არიან საქართველოს მოსწავლეთა გუნდური პირველობების გამარჯვებულები, პრიზიორები. ნიკა კველიშვილს სულ „ცოტა“ დააკლდა საქართველოს პირველობის ფინალში მეორე ადგილის დაკავებისათვის, რომელიც იძლეოდა უფლებას ეთამაშა ევროპის პირველობის ფინალში, თუმცა საქართველოს პირველობის ფინალში (8 წლამდე ბიჭებში) III საპრიზო ადგილის დაკავება — უკვე წარმატებაა და აი, საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეების ახალი ტრიუმფი ჯერ კახეთში, ხოლო შემდეგ იმერეთში.

22-23 სექტემბერს ქ. თელავში ჩატარდა ცნობილი ქართველი მოჭადრაკის, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების მრავალჯერ ჩემპიონის და პრიზიორის (ვეტერან მოჭადრაკეთა შორის) დიდოსტატ თამარ ხშიადაშვილის სახელობის ტრადიციული კახეთის რეგიონალური მოსწავლეთა პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ რეგიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები. ფინალში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდმა გამანადგურებელი ანგარიშით 6:0 მოუგო ჯერ თელავის №2 გუნდს, ხოლო შემდეგ იმავე ანგარიშით დაამარცხეს სიდნაღის მოსწავლეთა ნაკრები, 5:1-ზე დაამარცხეს გურჯაანის მოსწავლეთა ნაკრები, ხოლო ფინალში 3,5-2,5-ზე დაამარცხეს თელავის №1 გუნდი (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი



რაიონის ნაკრებს ყაიძის შემთხვევაშიც განადგობული ჰქონდათ პირველი ადგილი და დასაკუთრეს თამარ ხშიადაშვილის სახელობის გარდამავალი თასი. ჩვენი რაიონის ღირსებას იცავდნენ (4 ბიჭი, 2 გოგონა): ბიჭების I დაფაზე ითამაშა ნანი უნაფქოშვილი — 4-დან 4 ქულა! ილია კურდელაშვილი, II დაფა — 4-დან 3 ქულა, მესამე დაფა — თენგიზ გოდერძიშვილი: 4-დან 3 ქულა, ნიკა კველიშვილი — 4-დან 4 ქულა, ნინო მელაშვილი — 4-დან 2,5 ქულა; ეთუნა ხებრელაშვილი — 2-დან 2 ქულა, ლალი გარსიაშვილი — 2-დან 2 ქულა (მწვრთნელები: ელენე ფარეშიშვილი, ირაკლი ქელივიძე, თენგიზ კობიაშვილი).

საგარეჯოელი მოსწავლეების ტრიუმფალური სვლა გაგრძელდა მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სამშობლოში — ქ. ქუთაისში, სადაც ამასწინათ, 5-14 ოქტომბერს ჩატარდა მაია ჩიბურდანიძის პირველი მწვრთნელის დავით ჩირაძის ტრადიციული მემორიალი, რომელიც ფაქტობრივად არის დასავლეთ საქართველოს მოსწავლეთა გუნდური პირველობა. ფინალში მონაწილეობდა 10 გუნდი. შეჯიბრება ჩატარდა შევიცარიული სისტემით 7 ტურად. პირველ ტურში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ნორჩ მოჭადრაკეთა ნაკრებმა 3:1-ზე დაამარცხა ქ. ქუთაისის №2 გუნდი (3 ბიჭი, 1 გოგონა), მეორე ტურში ქ. ქუთაისის ნაკრებთან (№1 გუნდი) ითამაშეს ფრედ 2:2, მესამე ტურში გამანადგურებელი ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ქ. ქუთაისის №3 გუნდი, მეოთხე ტურში ქ. ზუგდიდის გუნდთან ითამაშეს ფრედ 2:2, მესამე ტურში პირველობისათვის გადაწყვეტი იყო საგარე-

ჯობადდათის მოსწავლეთა ნაკრებების შეხვედრა, რამეთუ ამ შეხვედრამდე ბაღდათელები 1 ქულით უსწრებდნენ საგარეჯოს ნაკრებს. დამაჯერებელი ანგარიშით 3:1-ზე გაიმარჯვეს საგარეჯოელებმა და გახდნენ შეჯიბრების ლიდერები. ამის შემდეგ მეექვსე და ბოლო — მეშვიდე ტურში ერთნაირი გამანადგურებელი ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ქუთაისის №4 და №5 გუნდები და 20,5 ქულით დაიკავეს პირველი ადგილი და დაეუფლნენ დავით ჩირაძის სახელობის თასს. ეს გამარჯვება თვალსაჩინოა იმ მხრივაც, რომ საგარეჯოელებმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ქუთაისის, ზუგდიდის, ბაღდათის ტრადიციული სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლების მოსწავლეები, თანაც ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები პირველად მონაწილეობდნენ

აღნიშნულ შეჯიბრში. შეიძლება ცნობილი გამოთქმა „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“ მისადაგოს ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეების გამარჯვებას. რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: პირველი დაფა ნიკა კველიშვილი — 7-დან 6,5 ქულა, ლუკა გურჯიძე 7-დან 6 ქულა, ეთუნა ხებრელაშვილი (თამაშობდა ბიჭების მესამე დაფაზე) 7-დან 5 ქულა, ხოლო გოგონების დაფაზე ნინო გოდერძიშვილის შედეგი ასეთია: 7-დან 3 ქულა (მწვრთნელები ირაკლი ქელივიძე, თენგიზ კობიაშვილი). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით, ფულადი პრიზებით.

**ირაკლი ძვლივიძე** — გუნდის ხელმძღვანელი: — იმ წარმატებების ფონზე, რაც განსაკუთრებით ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა 2012 წელს მოიპოვეს — ნანი უნაფქოშვილი, ნიკა კველიშვილი, ლუკა გურჯიძე, ეთუნა ხებრელაშვილი, ლალი გარსიაშვილი, ლევან დალბაშვილი, ნინო გოდერძიშვილი და სხვებმა, შეიძლება ითქვას, რომ 2012 წელი საკმაოდ წარმატებული იყო, რაც მომავლის კარგ პერსპექტივებს სახავს. თამაზად შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოს საჭადრაკო სკოლა (თუმცა ოფიციალურად რაიონის ჯერჯერობით ასეთი სკოლა არ გააჩნია, არადა უკვე იმსახურებს) მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს ისეთი ტრადიციული საჭადრაკო სკოლების გვერდით, როგორებიც არიან — თბილისის, ზუგდიდის, ქუთაისის, ვანის, ბათუმის და სხვა გვერდით. ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები უკვე ტოლს არ უდებენ წამყვანი საჭადრაკო სკოლების წამყვან ნორჩ მოჭადრაკეებს. აქედან გამომდინარე, გვჯერა, რომ სათანადო პირობების შექმ-

ნით, მწვრთნელი პედაგოგის დაუღალავი შრომით, რაც სახეზეა — მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა შეიძლება. ამჟამად, როცა გადაწყვეტილია, რომ საგარეჯოელ მოჭადრაკეებს ექნებათ კეთილმოწყობილი ახალი საჭადრაკო შენობა, თავისი ინფრასტრუქტურით — სტიმულს გვაძლევს, უფრო მეტი შემაღლებით ვიმუშაოთ ნორჩი მოჭადრაკეების დაოსტატებისათვის. აქვე დავკენთ, რომ ჩვენმა ნორჩებმა ეს ბოლო გამარჯვებები მიუძღვნეს საგარეჯოში ახალი საჭადრაკო კლუბის გახსნას, რომელსაც მოუთმენლად ელის რაიონის ჭადრაკის მოყვარულთა დიდი არმია. და ბოლოს, მადლობას იმსახურებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ღირეკცია (ღირეკტორი ვია ბელიაშვილი), რომელმაც ფინანსურად უზრუნველყო მოსწავლეთა შეჯიბრებაზე გაგზავნა. ჩვენის მხრიდან ძალ-ღონეს, ენერჯიას, გამოცდილებას არ დავიშურებთ, რათა მომავალში წარმატებები უფრო თვალსაჩინო და ჭადრაკი უფრო მასიური გახდეს.

თენგიზ კობიაშვილი

## ფილოსოფია



დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვის და აღვნიშნავთ ფინანსების მართვის სამსახურის უფროს

საჯარო მოხელეს ხაზინის საკითხებში ხათუნა ყორღანაშვილს. ვუსურვებთ სიკეთესა და სიხარულს, პირად ბედნიერებას და წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

ბაზუქო „გარეჯის მაცნეს“ რედაქციის



დაბადებიდან 65 წლისთავს ვულოცავთ საგარეჯოელ პიპიკო სულიკაშვილს. ვუსურვებთ დღევანდელ ბასსა და მხევრძელობას, თავის შეილებთან, შეილიშვილებთან და შეილთაშვილებთან ერთად გახარებას.

ამხანაპიპი

და თინა ჯოსაძე, დისშვილები: რამაზი და ლალი აბახაძეები ოჯახებით, შეილიშვილები თემურ და საბაღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბელა არჩილის ასული



ჯონხადე პანაშვილი 31 ოქტომბერს 5 საათზე, დაკრძალვა 1 ნოემბერს, 1 საათზე, ქ. საგარეჯოში. გამოსვენება რუსთაველის ქ. 135-დან.

## „გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com